EQUALITY MOVEMENT

„თანასწორობის მოძრაობის“ საქმიანობის ანგარიში

2023

აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წერილი

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველაზე დიდი ლგბტქ+ სათემო ორგანიზაცია ,,თანასწორობის მოძრაობა“, უკვე 12 წელია, იღწვის საქართველოში იმგვარი საზოგადოების მშენებლობისთვის, სადაც ადამიანები თანასწორი არიან განურჩევლად, სქესისა, გენდერისა, გენდერული იდენტობისა, სექსუალური ორიენტაციისა და სოციალური კლასისა.

წლების განმავლობაში, დაბრკოლებების სიმრავლის მიუხედავად, ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს, საზოგადოების მგრძნობელობის ამაღლებისთვის ლგბტქ+ საკითხების მიმართ, სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებისთვის და ამასთანავე უზრუნველყოფს საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური, სამართლებრივი და ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას, თემის მობილიზაციასა და ხილვადობის გაზრდას.

ორგანიზაცია ოპერირებს ოთხი სტრატეგიული მიზნის შესასრულებლად:

1. ლგბტქ+ საკითხების ადვოკატირებისა და თემის გაძლიერებისთვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირება;
2. ლგბტქ+ თემის წევრებისთვის ჯანდაცვის სერვისების მიწოდება და აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია;
3. ლგბტქ+ თემის წევრთა მობილიზაცია, პოლიტიკური გაძლიერება და ინტეგრაციის ხელშეწყობა;
4. ,,თანასწორობის მოძრაობის“ ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარება და გაძლიერება.

2023 წელს ,,თანასწორობის მოძრაობამ“ ქვეყანაში პოლიტიკური ჰომოფობიის რადიკალიზების ფონზე, საკუთარი ისტორიის განმავლობაში ყველაზე მეტი პროექტი განახორციელა. განსაკუთრებული ნაბიჯები გადადგა ორგანიზაციის ინსტიტუციური გაჯანსაღების, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს ფორმირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულებით. ამასთან, ორგანიზაციამ შეიძინა ახალი სტრატეგიული პარტნიორები და საფუძველი ჩაუყარა ლგბტქ+ თემის საჭიროებებზე მორგებული, ინოვაციური ინტერვენციებისა და პროგრამების დანერგვას.

2023 წელს ორგანიზაციამ განახორციელა ორი სამუშაო ვიზიტი ბრიუსელში ევროკავშირის ინსტიტუტებთან. წლის განმავლობაში გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის წარმომადგენლობასთან, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან. ორგანიზაცია, აქტიურად იყო ჩართული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებში გენდერისა და ლგბტქ+ საკითხების ასახვაზე მიმართული ადვოკატირების პროცესებში.

აქტიური საადვოკაციო, კოალიციური და თემის პოლიტიკურ გაძლიერებაზე მიმართული საქმიანობის მიღმა, 2023 წელს ორგანიზაციამ განახორციელა რამდენიმე კოლაბორაციული აქტივობა. მათ შორის, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ინოვაციური პროგრამა Selftest Express, რომელიც ,,თანასწორობის მოძრაობისა“ და ,,Grindr“-ის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. პროგრამა მიზნად ისახავს ,,Grindr“-ის მომხმარებლებს შესაძლებლობა მისცეს აპლიკაციიდან გაუსვლელად შეუკვეთონ აივ-ის თვითტესტები, კონდომები და ლუბრიკანტები. პროგრამა, ჯერჯერობით, მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ირლანდიასა და საქართველოშია ხელმისაწვდომი[1].

ამასთან, 2023 წლის განმავლობაში ,,თანასწორობის მოძრაობის“ თვითტესტირების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს 7 ქალაქში, პრევენციული და ზიანის შემცირების სერვისების მიწოდებას ლგბტქ+ თემის წევრებისთვის უსასყიდლოდ ახდენდა საკურიერო კომპანია ,,გლოვო“. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს დაინერგა და წარმატებით ხორციელდებოდა ,,თანასწორობის მოძრაობისა“ და კლუბ TES-ის კოლაბორაციული პროექტი COITUS და COITUS Talks, რომელიც მიზნად ისახავდა

[1] იხ: https://www.grindr.com/blog/grindr-partners-with-equality-movement-and-mpower-to-provide-free-at-home-hiv-test-kits-in-georgia-and-ireland

თემის მობილიზაციასა და ორგანიზაციის პრევენციული სერვისების პოპულარიზაციას. ასევე, 2023 წელს ,,თანასწორობის მოძრაობა“ შეუერთდა ,,გაეროს შიდსის პროგრამის“ (UNAIDS) სლოგანს ,,თემის ლიდერობით“ (LET COMMUNITIES LEAD)[2] და 2 დეკემბერს განახორციელა შიდსის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელიც ექვსი პანელისგან შედგებოდა და მასში მონაწილეობდნენ ლგბტქ+ თემის წევრები ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის" ექიმი-ინფექციონისტები, ეპიდემიოლოგები, სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელი, სათემო და ლგბტქ+ ორგანიზაციები, ამასთან, ,,თანასწორობის მოძრაობის“ ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები, რომლებაც მიმოიხილეს აივ/შიდსთან ბრძოლაში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოწვევები, როგორც სამედიცინო, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

2023 წელს ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გამოყენებითი კვლევების წარმოებას. საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა, სწორედ, ,,თანასწორობის მოძრაობამ“ გამოაქვეყნა კვლევა მენსტრუალური სიღარიბისა და მასთან დაკავშირებული სოციალური გავლენების შესახებ[3], ამასთან, ორგანიზაციამ განახორციელა ე.წ. ქცევაზე ზედამხედველობის ორი კვლევა. მათგან პირველი, განხორციელდა ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირთან“ კოლაბორაციით, ხოლო მეორე - BBS-Lite წარმოადგენდა საპილოტე კვლევა და გაეროს შიდსის პროგრამის (UNAIDS) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოში, მსმ პოპულაციაში პირველად ჩატარდა.

თემის პოლიტიკურ გაძლიერებაზე ზრუნვისა და გარემოს სენსიტიზაციის მიზნით, 2023 წელს ორგანიზაციამ განახორციელა თემატური სათემო შეხვედრები, საჯარო ლექციები და საგანმანათლებლო აქტივობები - ,,ქვიარ აკადემია“ და ,,ქვიარ-ფემინისტური საზაფხულო სკოლა”. ამას გარდა, ორგანიზაცია 2023 წლის განმავლობაში სტრატეგიული სამართალწარმოების პროცესში აქტიურად იყენებდა ადილობრივი და საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს.

გასული წლის მიღწევებისა და წარმატებული შედეგებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ორგანიზაციის გუნდს, სტრატეგიულ პარტნიორებსა და მხარდამჭერებს დაუღალავი შრომის, სიმტკიცისა და ღირებულებების მიმართ ერთგულებისთვის!

აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

მარიამ გულიაშვილი

[2] იხ: https://www.unaids.org/en/2023-world-aids-day

[3] ,,მენსტრუალური სიღარიბე საქართველოში”, 2023, იხ:https://equality.ge/wp-content/uploads/2023/06/ilovepdf_merged-6.pdf

სარჩევი

2023 წლის ერთიანი ორგანიზაციული სტატისტიკა 6
2023 წელს მომზადებული ანგარიშები 8
2023 წელს განხორციელებული პროექტების ანგარიშები 9
1. აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია და შემთხვევების გამოვლენა ლგბტ თემში 9
2. პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკა (PrEP) აივ ინფექცია/შიდსის მაღალი რისკის პოპულაციებში 10
3. აივ ინფექცია/შიდსის საკვანძო პოპულაციებისთვის აივ-ზე თვითტესტირების მომსახურების და აივ პრევენციული პაკეტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 11
4. აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია და შემთხვევების გამოვლენა ტრანსგენდერ პირებში 12
5. აივ-თან დაკავშირებული სარისკო ქცევების და აივ პრევალენტობის შეფასება მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასების კვლევა 13
6. მამაკაცებში ვისაც სექსი აქვთ მამაკაცებთან (მსმ) ქცევის და ბიომარკერების პრევალენტობის გამარტივებული კვლევა - BSS Lite 14
7. ლგბტქ+ თემისთვის აივ ინფექციის პრევენციის ინოვაციური სერვისების, მათ შორის, PrEP, nPEP და აივ თვითტესტირების სერვისების საპილოტე მოდელის შემუშავება და დანერგვა 15
8. აივ-ისა და სხვა სგგი-ების პრევენცია მსმ და ტრანს* ახალი მიგრანტებს შორის საქართველოში, რომლებიც დაზარალდნენ უკრაინის ომის შედეგად 16
9. ლგბტ ადამიანების უფლებების გაუმჯობესება საქართველოში 16
10. საქართველოში ლგბტქ თემის მხარდაჭერა და გაძლიერება 19
12. ,,თანასწორობის მოძრაობის" შესაძლებლობების განვითარება და თანასწორობის კოალიციის გაძლიერება 21
13. გაერთიანება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ: ლგბტქი თემის წინააღმდეგ ძალადობის დაძლევა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში 21
14. ქალების სიღარიბე და მენსტრუალური ჯანმრთელობა 22
15. ლგბტქი თემის მედეგობის მშენებლობა საქართველოში 24
16. ორგანიზაციული უსაფრთხოების გაძლიერება 25

2023 წლის ერთიანი ორგანიზაციული სტატისტიკა

N	ინდიკატორი	რაოდენობა
1	ოპერაციული მიზანი	4
2	ადამიანური რესურსი	39 დასაქმებული
3	რეგიონული სათემო ოფიცერი	6
4	პროექტი	16
5	მინიმალური საბაზისო პრევენციული პაკეტით (რისკის შემცირების კონსულტაცია/საინფორმაციო მასალების მიწოდება, კონდომებისა და ლუბრიკანტების მიწოდება) უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა	10, 137
6	აივ ინფექციაზე და სქესობრივი გზით გადამდებ სხვა ინფექციებზე (ვირუსული ჰეპატიტები (B და C) და სიფილისი) ნებაყოფლობითი კონსულტაციისა და ტესტირების სერვისით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა	6, 715
7	აივ-ის პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკის (PrEP) პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა	473
8	ქიმსექსის (ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება სქესობრივ კონტექსტში) ზიანის შემცირების საშუალებების ნაკრებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა	215
9	ფსიქოკონსულტირება და ფსიქოთერაპია	786 სესია
10	ექიმი ფსიქიატრის კონსულტაცია	294
11	ექიმი ნარკოლოგი/ადიქტოლოგის კონსულტაცია	70
12	ექიმი ინფექციონისტის კონსულტაცია	44
13	ექიმი თერაპევტის კონსულტაციების	110
14	სოციალური მუშაკის სერვისი	329
15	იურისტის სერვისი	149 სამართლებრივი საქმე
16	სტრატეგიული სამართალწარმოების საქმე	1
17	ანგარიში	5
18	კვლევა	4

2023 წელს მომზადებული ანგარიშები

1. **გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ანგარიში.** აღნიშნული ანგარიში ,,თანასწორობის მოძრაობამ“ კომიტეტის 84-ე სესიაზე წარადგინა ,,ევრაზიის ჯანმრთელობის, უფლებების, გენდერული და სექსუალური მრავალფეროვნების კოალიციასა” (ECOM) და ქვიარ ასოციაცია „თემიდასთან“ ერთად. ანგარიში მიმოიხილავს ლგბტქ ქალების უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში. თებერვალში, "თანასწორობის მორაობამ" მონაწილეობა მიიღო კომიტეტის ფორმალურ და არაფორმალურ სესიებში.
2. **ილგა ევროპის (ILGA-Europe) ყოველწლიური ანგარიში.** ანგარიში 2022 წლის განმავლობაში ევროპის ქვეყნებში ლგბტქი ადამიანების უფლებრივ მდგომარეობას აფასებს.
3. **დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში - ,,კოალიცია თანასწორობისთვის“.** აღნიშნული ანგარიში ყოველწლიურია და სხვა საკითხებთან ერთად მიმოიხილავს 2022 წლის განმავლობაში ლგბტქი ადამიანების უფლებრივ მდგომარეობას.
4. **სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ანგარიში.** პლატფორმა "არა ფობიას" კოალიციური ანგარიში სხვადასხვა ჯგუფის მიმართ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასა და პრევენციის პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს აფასებს. ანგარიშის მიზანია, არსებული გარემოს ანალიზი და პასუხისმგებელი უწყებებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.
5. **ეუთო/ოდირის ანგარიში -** 2023 წლის აპრილში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ 2022 წელს წარმოებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ინფორმაცია გაეგზავნა.

2023 წელს განხორციელებული პროექტების ანგარიშები

1. აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია და შემთხვევების გამოვლენა ლგბტ თემში

დონორი	შემსყიდველი: სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამა: „საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება“ (GEO-C-NCDC)
საანგარიშო პერიოდი	13.01.2023 – 31.12.2023 (12 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	462,940.00 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტი განხორციელდა ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობის“ (კონტრაქტორი) და ა(ა)იპ „იდენტობას“ (სუბ-კონტრაქტორი) კოლაბორაციით. პროექტის ფარგლებში არსებული სერვისები სამიზნე პოპულაციის წევრებს (მსმ პირები, აივ-დადებითი მსმ პირები, ქიმ-სექსის პრაქტიკის მქონე მსმ პირები) მიეწოდებოდათ ქ. თბილისში (ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობის“ ქ. თბილისის რესურს-ცენტრის ბაზაზე), ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში (ა(ა)იპ „იდენტობას“ ქ. ქუთაისის და ქ. ბათუმს რესურს-ცენტრების ბაზაზე), აგრეთვე ქ. ზუგდიდსა და ქ. თელავში საველე სამუშაო პირობებში და დისტანციურად (მათ შორის, უფასო და ანონიმური საკურიერო მომსახურების მეშვეობით). პროექტის მიმდინარეობისას, არსებული სერვისებით ისარგებლა სულ - 4,512-მა ბენეფიციარმა. 1. მინიმალური/საბაზისო პრევენციული პაკეტით (კონდომები, ლუბრიკანტები, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციული საინფორმაციო მასალები) უზრუნველყოფილი ბენეფიციარები - 4512 (ინდიკატორი შესრულდა - 98%-ით); 2. აივ-ზე და სქესობრივი გზით გადამდებ სხვა დაავადებებზე (ინფექციები) ნებაყოფლობითი კონსულტაციითა და ტესტირებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები - 3520 (დაგეგმილი სამიზნე ინდიკატორი შესრულდა 9%-იანი გადაჭარბებით); 3. სოციალური მუშაკის კონსულტაციის სერვისით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები - 412; 4. ფსიქოკონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის სერვისის ფარგლებში უზრუნველყოფილი ბენეფიციარების (ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში) სესიების რაოდენობა – 300; 5. ექიმი სპეციალისტების (ექიმი თერაპევტი, ექიმი ნარკოლოგი/ადიქტოლოგი) კონსულტაციებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები - 224;

	6. სამედიცინო დაწესებულებებში სოციალური თანხლების სერვისით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები - 34; 7. გადამზადებული თანასწორი განმანათლებლების რაოდენობა - 100; 8. საინფორმაციო/საგანმანათლებლო პრევენციული შეხვედრების რაოდენობა - 10; 9. მომზადებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა - 12 (აივ-ის და სქესობრივი გზით გადამდები სხვა დაავადებებისა და მათი პრევენციის, აგრეთვე ქიმსექსის (Chemsex) პრაქტიკასთან ასოცირებული ზიანის შემცირების შესახებ);

2. პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკა (PrEP) აივ ინფექცია/შიდსის მაღალი რისკის პოპულაციებში

დონორი	შემსყიდველი: სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამა: „საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება“ (GEO-C-NCDC)
საანგარიშო პერიოდი	01.01.2023- 31.12.2023 (12 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	222,450.00 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტის ფარგლებში: • პრეპის შეთავაზება განხორციელდა 493-მდე ადამიანთან • ჯამურად სამივე რეგიონში (ქუთაისი, ბათუმი, თბილისი), პროგრამაში ჩაერთო 473 ბენეფიციარი; • გამოვლინდა 19 დადებითი შემთხვევა აივ ინფექციაზე; • გამოვლინდა 2 დადებითი შემთხვევა B ჰეპატიტზე; • ჩატარდა 4 პაციენტთა სკოლა; • ჩატარდა 6 პრომო ღონისძიება; • დაიბეჭდა 5 ტიპის საინფორმაციო მასალა; • დამზადდა 4 ტიპის ციფრული მასალა.

3. აივ ინფექცია/შიდსის საკვანძო პოპულაციებისთვის აივ-ზე თვითტესტირების მომსახურების და აივ პრევენციული პაკეტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

დონორი	შემსყიდველი: სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამა: „საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება“ (GEO-C-NCDC)
საანგარიშო პერიოდი	01.01.2023 – 31.12.2023 (12 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	169,000.00 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტის განმავლობაში, პლატფორმა Selftest.ge-სა და კომპანია „გლოვოს“ უფასო საკურიერო სერვისის მეშვეობით, სულ - 5471 ბენეფიციარს მიეწოდა პრევენციული საშუალებების ნაკრები. ჯამურად, გაიცა 3106 ტესტი, 48905 კონდომი და 8141 ლუბრიკანტი. 2023 წელს თვითტესტირების შესახებ დამზადდა 6 ანიმაციური ვიდეორგოლი, 8 ციფრული ბანერი, საინფორმაციო და სადისტრიბუციო მატერიალები (მაისურები, სტიკერები). პროექტის განმავლობაში “თანასწორობის მოძრაობის” და კლუბ ,,TES”-ის მიერ ორგანიზებული ქვიარ ივენთების სერიის ,,COITUS“ ფარგლებში, ჩატარდა ერთი სათემო შეხვედრა. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების შედეგად ვებგვერდს აქვს რამდენიმე სიახლე, კერძოდ: 1. ვებგვერდის მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ აივ ინფექცია/შიდსის ნერწყვის თვითტესტის პასუხი დააბრუნონ ფოტოს მეშვეობით და სანაცვლოდ შეივსონ მობილური ნომრის ანგარიში. 2. გაცნობის აპლიკაცია ,,Grindr“-ისა დ ა,,თანასწორობის მოძრაობის“ პარტნიორობით, აივ ინფექციის თვითტესტისა და პრევენციული საშუალებების ნაკრების მიღება კიდევ უფრო მარტივი გახდა. ,,Grindr“-სა და ,,თანასწორობის მოძრაობას“ მრავალხნიანი თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ. თუკი ადრე აპლიკაციის მომხმარებლებს ბანერის სახით მიეწოდებოდათ ინფორმაცია აივ ინფექციის ტესტის, კონდომებისა და ლუბრიკანტების უფასოდ და ანონიმურად მიღების შესაძლებლობის შესახებ, ამჯერად, მომხმარებლებს აპლიკაციიდან გაუსვლელად, სულ რაღაც 1 წუთში შეუძლიათ შეუკვეთონ ზემოაღნიშნული პროდუქტი და სასურველ მისამართზე მიიღონ. ამისათვის საჭიროა აპლიკაციის მენიუდან აირჩიონ “Free HIV Home Test”, მიუთითონ ტელეფონის ნომერი და სასურველი მისამართი.

	3. პლატფორმაზე დაემატა მეოთხე პროვაიდერი ამჯერად ორგანიზაცია „თემიდას“ სახით, რომელიც ტრანს* თემის წევრებს სთავაზობს აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის პაკეტს სახელწოდებით T-Pack. 2 დეკემბერს თანასწორობის მოძრაობამ შიდსის კონფერენცია გამართა. კონფერენცია შედგებოდა ექვსი პანელისგან და მასში მონაწილეობდნენ: ლგბტქ+ თემის წევრები, ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის" ექიმი-ინფექციონისტები, ეპიდემიოლოგები, სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელი, სათემო და ლგბტქ+ ორგანიზაციები, რომლებაც საკუთარი მოხსენებები დაუთმეს, როგორც საქართველოში, ასევე რეგიონებში არსებულ შიდსთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ასევე, ლგბტქ+ თემის წევრების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და თანაკვეთას შიდსის ეპიდემიასა და ჰომოფობიას შორის. კონფერენციას ასევე ესწრებოდნენ ,,თანასწორობის მოძრაობის“ სტრატეგიული პარტნიორები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგნლები.

4. აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია და შემთხვევების გამოვლენა ტრანსგენდერ პირებში

დონორი	შემსყიდველი: სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამა: „საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება“ (GEO-C-NCDC)
პროექტის საანგარიშო პერიოდი	01.01.2023 - 31.12.2023 (12 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	52,250.00 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტი განხორციელდა ა(ა)იპ ,,თანასწორობის მოძრაობის“ (კონტრაქტორი) და ქვიარ ასოციაცია ,,თემიდა“ (სუბ-კონტრაქტორი) კოლაბორაციით. პროექტი შესაძლოა შეფასდეს ორი ინდიკატორის საფუძველზე: 1. მინიმალური/საბაზისო პრევენციული პაკეტით (კონდომები, ლუბრიკანტები, სექსობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციული საინფორმაციო მასალები) უზრუნველყოფილი ბენეფიციარები - 154 (დაგეგმილი სამიზნე ინდიკატორი შესრულდა - 54%-იანი გადაჭარბებით); 2. აივ-ზე და სექსობრივი გზით გადამდებ სხვა დაავადებებზე (ინფექციები) ნებაყოფლობითი კონსულტაციითა და ტესტირებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები - 89 (დაგეგმილი სამიზნე ინდიკატორი შესრულდა 99%-ით); პროექტის მიმდინარეობისას, ჩატარდა 5 საინფორმაციო/საგანმანათლებლო შეხვედრა. მათ შორის, 3 ჩატარდა თბილისში და 2 - ბათუმში. შეხვედრებს ჯამურად დაესწრო 58 ადამიანი. პროექტის მიმდინარეობისას, ტრანს თემის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ 83 ერთეული ფსიქოკონსულტაცია. მომზადდა და დაიბეჭდა ორი სახის თემატური საინფორმაციო ბუკლეტი - “რა უნდა ვიცოდეთ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ“ და „გენდერის სამართლებრივი აღიარება და ტრანსსპეციფიური სერვისები“

5. აივ-თან დაკავშირებული სარისკო ქცევების და აივ პრევალენტობის შეფასება მამაკაცებს შორის, რომელთაც სექსობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასების კვლევა

დონორი	შემსყიდველი: სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამა: „საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება“ (GEO-C-NCDC)
საანგარიშო პერიოდი	01.07.2023 – 31.10.2023 (4 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	20,000.00 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტი განხორციელდა ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირის“ (კონტრაქტორი) და ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობის“ (სუბ-კონტრაქტორი) კოლაბორაციით. კვლევითი პროექტის ფარგლებში, საქართველოს სამ ქალაქში, ქ. თბილისში - ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობის“ სათემო ცენტრში, ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში კი - ა(ა)იპ „იდენტობას“ სათემო ცენტრებში განხორციელდა კვლევითი ინტერვიუები სამიზნე პოპულაციის (მსმ პირები) წევრებთან, აგრეთვე ვენური ფლებოტომია, სისხლის ნიმუშის ტესტირებისთვის აივ ინფექციაზე, ვირუსულ ჰეპატიტებზე (B და C) და სიფილისზე (Anti-HIV1/HIV2; RPR Syphilis; Anti-HCV; HBsAg; Anti-HBc total). კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ - 150-მა ბენეფიციარმა, მათ შორის, ქ. თბილისში ჩატარდა - 70 ინტერვიუ და ვენური ფლებოტომია, ქ. ქუთაისში - 35, ქ. ბათუმში კი - 45.

6. მამაკაცებში ვისაც სექსი აქვთ მამაკაცებთან (მსმ) ქცევის და ბიომარკერების პრევალენტობის გამარტივებული კვლევა - BSS Lite

დონორი	გაეროს შიდსის პროგრამა (UNAIDS)
საანგარიშო პერიოდი	01.07.2023- 31.12.2023
პროექტის ბიუჯეტი	34,872.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტის ფარგლებში: ● შემუშავდა და ინგლისურიდან ქართულად ითარგმნა კითხვარი; ● შეიქმნა მონაცემთა ბაზა; ● ჩატარდა 652 ინტერვიუ მამაკაცებში ვისაც სექსი აქვთ მამაკაცებთან (მსმ); ● პირველადი სკრინინგისას გამოვლენილ საეჭვო-დადებით შემთხვევებში, აღებულ იქნა სისხლის ნიმუშები და გაიგზავნა შემდგომი კონფირმაციისთვის: ● კვლევა მიმდინარეობდა საქართველოს 3 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი); BSS-Lite საქართველოში, მსმ პოპულაციაში პირველად განხორციელდა.

7. ლგბტქ+ თემისთვის აივ ინფექციის პრევენციის ინოვაციური სერვისების, მათ შორის, PrEP, nPEP და აივ თვითტესტირების სერვისების საპილოტე მოდელის შემუშავება და დანერგვა

დონორი	Médecins du Monde (MDM)
საანგარიშო პერიოდი	01.03.2023 – 31.12.2023 (10 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	40,100.00 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტის ფარგლებში, ე.წ. ქიმსექსის ნაკრები (Chemsex Kit) მიიღო 215-მა ბენეფიციარმა. ამასთან, ,,თანასწორობის მოძრაობისა“ და კლუბ TES-ის კოლაბორაციული აქტივობების ფარგლებში, COITUS და COITUS Talks, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ე.წ. ქიმსესის ნაკრების (Chemsex Kit) პოპულარიზაციასა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ადიქციის საკითხების გაანალიზებას. 23 ივნისს, თანასწორობის მოძრაობის ოფისში თანასწორგანმანათლებელთა ტრენინგი გაიმართა. ტრენინგის დღის წესრიგი მოიცავდა PEP-ის, ქიმისექსის

	პრაქტიკის, ფსიქოაქტიური ნივთიერებებისა და ზიანის შემცირების საკითხებს. ტრენინგის ფარგლებში განიხილეს ისეთი გამოწვევები, როგორიცაა ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მათ შორის, GHB და GBL-ის აქტიური გამოყენება და სექსუალურ კონტექსტთან დაკავშირებული რისკები. შემუშავდა ახალი საინფორმაციო მასალები უსაფრთხო სექსის პრაქტიკასთან და ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით: 1. ქიმსექს ბროშურა, რომელიც შეიცავს ზოგად რეკომენდაციებს ქიმსექსის პრაქტიკასთან და ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით. 2. უსაფრთხო სექსის გზამკვლევი, რომელიც შედგება მოკლე რეკომენდაციებისგან/შეხსენებებისგან, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან სარისკო ქცევები კლუბში. 3. შემახსენებლები (პოსტერი) - შეხსენებები და რჩევები ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

8. აივ-ისა და სხვა სგგი-ების პრევენცია მსმ და ტრანს* ახალი მიგრანტებს შორის საქართველოში, რომლებიც დაზარალდნენ უკრაინის ომის შედეგად

დონორი	ევრაზიის ჯანმრთელობის, უფლებების, გენდერული და სექსუალური მრავალფეროვნების კოალიცია (ECOM)
პროექტის ხანგრძლივობა	01.07.2023 – 29.02.2024 (8 თვე)
საანგარიშო პერიოდი	01.07.2023-31.12.2023 (6 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	19,793.77 ევროს ეკვივალენტი ლარში

აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტის ფარგლებში, სოციალური მუშაკის სერვისი მიიღო 21-მა ადამიანმა. ომით დაზარალებულ მსმ პირებთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა სექსუალური ჯანმრთელობის, ზიანის შემცირებისა და ქიმსექსის (chemsex) შესახებ, რომელსაც დაესწრო 19 ადამიანი. იგეგმება ორი შეხვედრა ომით დაზარალებულ ლბქ* ქალ და ტრანს* თემთან; ასევე, მზადების პროცესშია საინფორმაციო მასალები სექსუალური ჯანმრთელობის, ზიანის შემცირება და შესაბამისი სერვისების შესახებ, რომელიც ითარგმნება ინგლისურ და უკრაინულ ენებზე. პროექტი ასევე მოიცავს ე.წ. აუთრიჩ სამუშაოს უკრაინის ომის შედეგად დაზარალებულ ლგბტქ+ მიგრანტთა თემში.

9. ლგბტ ადამიანების უფლებების გაუმჯობესება საქართველოში

დონორი	შვედური ასოციაცია სექსუალური განათლებისთვის (RFSU)
საანგარიშო პერიოდი	01.01.23-31.12.23 (12 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	302,143.36 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	**სერვისების გაცემა** პროექტის ფარგლებში, ,,თანასწორობის მოძრაობამ“ გასცა შემდეგი სერვისები: 1. სოციალური მუშაკის კონსულტაცია: 329 ლგბტქ+ თემის წევრმა მიმართა სოციალურ მუშაკს; 2. იურიდიული კონსულტაცია: ორგანიზაციაში სამართლებრივი წარმოება დაიწყო 149 ახალ საქმეზე. ამჟამად, ორგანიზაციის წარმოებაშია 200 აქტიური საქმე. 3. ფსიქოლოგის კონსულტაცია: 84 ლგბტქ+ თემის წევრმა მიიღო სერვისი; ჩატარდა 786 სესია. 4. ექიმი ფსიქიატრის კონსულტაცია: 98 ლგბტქ+ თემის წევრმა მიიღო სერვისი; ჩატარდა 294 კონსულტაცია[4]. **ქვიარ აკადემია** ქვიარ აკადემიის მთავარი მიზანია, ლგბტქ+ თემის წევრების პოლიტიკური გაძლიერება. 2023 წელს განხორციელდა რიგით მეორე ,,ქვიარ აკადემია“ - „იმპერიები და ქვიარ მოძრაობა“. პროექტის მთავარი თემა იყო პოსტკოლონიური და დეკოლონიური თერიების განხილვა და ამ თეორიების საქართველოს რეალობასა და ქვიარ მოძრაობის დღის წესრიგზე მორგება. სულ, ,,ქვიარ აკადემიას“ ესწრებოდა 17 ადამიანი. პროექტის განმავლობაში, სულ, 10 შეხვედრა

[4] შენიშვნა: მონაცემები მოიცავს, შეჯამებულ, ორგანიზაციულ მონაცემებს.

ჩატარდა. აქედან, 3 შეხვედრა ლექციის, ხოლო 4 შეხვედრა იყო პანელ-დისკუსიის ფორმატში განხორციელდა. პროექტის ფარგლებში, ასევე მოეწყო ფილმის „ავტოპორტრეტი ზღვარზე“ ჩვენება და დისკუსია ფილმის რეჟისორთან - ანნა ძიაპშიპასთან. პროექტის დასასრულს, განხორციელდა ვორქშოპი „ალტერნატივების ძიებაში“.

ქვიარ-ფემინისტური სკოლა

,,ქვიარ-ფემინისტური საზაფხულო სკოლა“ დაორგანიზდა ,,ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფთან“ (WISG) ერთად. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას ქვიარ-ფემინიზმსა და სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. პროექტის სამიზნე აუდიტორია იყვნენ 18-30 წლამდე ახალგაზრდა ლგბტქ+ თემის წევრები, რომლებსაც არ ჰქონდათ აქტივიზმისა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

საზაფხულო სკოლა ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილის მიზანი იყო ქვიარ ფემინისტური თეორიების განვითარების განხილვა დასავლეთსა და საქართველოში, ხოლო მეორე ნაწილის მიზანი იყო SRHR-ზე, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის გაზიარება და ამ საკითხების ფემინიზმთან და ქვიარ თეორიასთან მიმართების გამოაშკარავება.

60-მდე ადამიანმა გამოხატა ინტერესი პროექტში მონაწილეობის მისაღებად. შესარჩევმა კომისიამ 20 ადამიანი შეარჩია ტრენინგზე დასასწრებად. პროექტის შედეგად, 19 ახალგაზრდა აქტივისტი დაესწრო 5 დღიან ტრენინგს.

ქვიარ-საზაფხულო სკოლის შეფასებითი შეხვედრა

ორგანიზაციამ 2022 წლისა და 2023 წლის ქვიარ-ფემინისტური სკოლის კურსდამთავრებულებისთვის დააორგანიზა შეხვედრა, რომლის მიზანიც იყო სკოლის მონაწილეების ერთმანეთთან დაკავშირება, სკოლის შედეგების შეფასება მონაწილეების მხრიდან და სამომავლო გეგმებზე მჯელობა.

შეხვედრას სულ 30 მონაწილე და 6 მომხსენებელი დაესწრო. მონაწილეებმა სკოლის შედეგებად დაასახელეს შემდეგი საკითხები:

- ცნობიერების ამაღლება ქვიარ და ფემინისტურ საკითხებზე და ინდივიდუალური და პოლიტიკური გაძლიერება;
- არსებული ცოდნების გადაფასება და ემპათიურობის ზრდა სხვადასხვა ჯგუფისა თუ ადამიანის მიმართ;
- ლგბტქ+ თემთან თვით აფილიზების გაზრდა, ქვიარ ორგანიზაციების გაცნობა და მათ აქტივობებში ჩართვა;
- უსაფრთხო და დაცულ სივრცეებზე ხელმისაწვდომობის ზრდა;

გარდა ამისა, ქვიარ-ფემინისტური სკოლის შედეგად, მონაწილეების უმრავლესობა ჩაერთო ე.წ. გრასრუთ ქვიარ

	აქტივიზმში. ორივე წლის შედეგად, შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები. საინიციატივო ჯგუფებმა და ინდივიდუალურმა აქტივისტებმა ისეთი პროექტები განახორციელეს, როგორიცაა შეხვედრების დაორგანიზება სკოლებსა და უნივერსიტეტებში გენდერულ თანასწორობაზე, ჰომოფობიასა და ტრანსფობიაზე, სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებსა და ჯანმრთელობაზე ცნობიერების ზრდა და სხვა. **სტრატეგიული სამართალწარმოება** 2023 წლის 8 სექტემბერს ორგანიზაციამ გაგზავნა საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ი.ა-ს საქმეს, ორგანიზაციის იურისტი -თამარ ზარქუა 2021 წლის ნოემბრის თვიდან აწარმოებს. 2023 წელს, ორგანიზაციამ და მოსარჩელემ ამოწურეს შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები და ევროპულ სასამართლოს მიმართეს. მოსარჩელე, წარმოდგენილი „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ, სახელმწიფოს კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევას, კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან ჰომოფობიური მოტივით არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ედავება. ევროპულმა სასამართლომ ერთ თვეში დააკომუნიცირა საქმე და მხარეებს შესთავაზა ე.წ. მეგობრული შეთანხმება ,,friendly settlement,, რომლის თანახმადაც ი.ა. სახელმწიფომ უნდა აუნაზღაუროს ზიანი 15 000 ევროს ოდენობით.

10. საქართველოში ლგბტქ თემის მხარდაჭერა და გაძლიერება

დონორი	ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
პროექტის ხანგრძლივობა	15.03.2023-15.03.2024 (12 თვე)
საანგარიშო პერიოდი	01.03.2023-31.12.2023 (10 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	249,908.00 ლარი

აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტის ფარგლებში, ,,თანასწორობის მოძრაობამ“ ლგბტქ+ თემის წევრებისთვის გასცა ფსიქო-სოციალური სერვისები და განახორციელა ინტერვენციები სტრესმედეგობის გაძლიერებისთვის. ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება ლგბტქ+ თემის მოწყვლადობისა და დაუცველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. ლგბტქ+ თემის წევრები და აქტივისტები, არამხოლოდ პირადად აწყდებიან ცრურწმენებსა და სტერეოტიპებზე დაფუძნებულ უარყოფით, ხშირად მტრულ განწყობებს, არამედ ასევე, უწევთ ლგბტქ+ თემის სხვა წევრების მხარდაჭერა და გაძლიერება, მათი საჭიროებებისა და წუხილების გაზიარება. ასეთ პირობებში ცხოვრებასა და მუშაობას სტრესულ ფაქტორებთან დაკავშირებულ ემოციურ გადაწვამდე მივყავართ. სწორედ, ლგბტქ+ თემის წევრების სტრესმედეგობის უნარების განვითარებისთვის ,,თანასწორობის მოძრაობამ“ ივლისსა და სექტემბერში განახორციელა 2 ტრენინგი. მოწვეულ სპეციალისტთან ერთად ლგბტქ+ აქტივისტებმა შეხვედრაზე იმსჯელეს მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე და განიხილეს სტრესმედეგობის განვითარების სტრატეგიები. ორივე შეხვედრაში მონაწილეობდა 30 აქტივისტი.

11. “თანასწორობის მოძრაობა“ ძლიერი ქართული ლგბტქ სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოებისთვის

დონორი	ღია საზოგადოების ფონდი (OSF)
პროექტის ხანგრძლივობა	01.01.2022-31.03.2024 (27 თვე)
საანგარიშო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი :01.01.2023-31.12.2023 (12 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	70,000.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	**სათემო შეხვედრა რუსული კანონის შესახებ** 12 მაისს “თანასწორობის მოძრაობამ” გამართა სათემო შეხვედრა ლგბტქ+ აქტივისტებისთვის. შეხვედრაზე შევაჯამეთ ე.წ. მარტის აქციების შემდგომი პერიოდი და ვისაუბრეთ მთავრობის ჰომოფობიური პოლიტიკიდან მომდინარე პოტენციურ საფრთხეებზე. **სათემო შეხვედრა ლგბტ თემის პოზიციონირება და სტრატეგიული კომუნიკაცია** 14 დეკემბერს “თანასწორობის მოძრაობამ” გამართა სათემო შეხვედრა ლგბტქ+ თემის სტრატეგიული კომუნიკაციისა და პოზიციონირების საკითხის განსახილველად. შეხვედრას დაესწრო 20 აქტივისტი. განვიხილეთ ის საკითხები, რომელსაც

	უნდა დაეფუძნოს “თანასწორობის მოძრაობის” კომუნიკაციის სტრატეგია. **ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა** საანგარიშო პერიოდში “თანასწორობის მოძრაობამ” ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სამ შეხვედრაში. საანაგრიშო პერიოდში პირველი შეხვედრა ჩატარდა 14 თებერვალს. მონაწილეობდნენ “ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი” (WISG), “ქვიარ ასოციაცია - თემიდას”, “პერიფერიისა” და “იდენტობა იუს”-ის წარმომადგენელები. განვიხილეთ გასულ პერიოდში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები, ვისაუბრეთ საერთო საქმეების შესახებ, შევეხეთ მულტიგუნდის მუშაობის საკითხებს. მომდევნო შეხვედრა სათემო ორგანიზაციებთან გაიმართა 11-12 მარტს, ქალაქ ქუთაისში, სადაც პლატფორმის წევრი ორგანიზაციები დაესწრნენ “პერიფერიის” მიერ ორგანიზებულ კონფერენციას “გადამალული გრძნობები და ფემინისტური წარმოსახვა პერიფერიაში”. 3 მაისის შეხვედრაზე ვისაუბრეთ “რუსული კანონის” გარშემო მიმდინარე მოვლენებზე და ვიმსჯელეთ მთავრობის პოლიტიკური ჰომოფობიის შემდგომი განვითარების შესაძლო მიმართულებებზე. საანგარიშო პერიოდის ბოლო შეხვედრა გაიმართა 29 ივნისს, სადაც ვიმსჯელეთ მოახლოებული “თბილისის პარიდთან” დაკავშირებით, განსაკუთრებული აქცენტით ლგბტქ+ თემის წევრების უსაფრთხოების საკითხებზე, და ჩვენი, როგორც ფსიქო-სოციალური და სამართლებრივი სერვისების გამწევი ორგანიზაციების წვლილზე.

12. ,,თანასწორობის მოძრაობის” შესაძლებლობების განვითარება და თანასწორობის კოალიციის გაძლიერება

დონორი	ღია საზოგადოების ფონდი (OSF)
პროექტის ხანგრძლივობა	01.01.2023- 29.02.2024 (14 თვე)
საანგარიშო პერიოდი	01.01.2023-31.12.2023 (12 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	40,000.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში

აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტი განხორციელდა ა(ა)იპ ,,თანასწორობის მოძრაობისა" და ა(ა)იპ ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" (PHR). **Selftest.ge სერვისის შეფასების კვლევა** - კვლევა აფასებს „თანასწორობის მოძრაობის" თვითტესტირების სერვისთან დაკავშირებულ ძლიერ და სუსტ მხარეებს. კვლევის მიზანია პლატფორმის გასაუმჯობესებლად საჭირო მახასიათებლების იდენტიფიცირება სერვისით მოსარგებლე პირების მიერ. **კვალიფიკაციის ამაღლების კურსები** - პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს უცხო ენის კურსები დაუფინანსდათ. გარდა ამისა, სერვისების მიმწოდებელმა პირებმა პირველადი დახმარების სერტიფიცირებული კურსი გაიარეს. **ორგანიზაციული დოკუმენტების განახლება** - პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტების შესამუშავებლად სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

13. გაერთიანება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ: ლგბტქი თემის წინააღმდეგ ძალადობის დაძლევა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში

დონორი	სტოუნვოლი (Stonewall)
პროექტის ხანგრძლივობა	01.07.2021 – 30.06.2024 (37 თვე)
საანგარიშო პერიოდი	01.01.2023 – 31.12.2023 (12 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	150,400.00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	"თანასწორობის მოძრაობა" და „სტოუნვოლი" 2021 წლის ივლისიდან ერთობლივ პროექტს ახორციელებენ, რომელიც ლგბტქი თემის მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, დანაშაულის პრევენციასა და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას ემსახურება. სტოუნვოლის მხარდაჭერით პროექტი ხორციელდება საქართველოში, რუმინეთსა და ბულგარეთში. ტრენინგ მოდულის შემუშავება - პროექტის ფარგლებში სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა ან/და გენდერული გამოხატვის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ ცნობიერების ამაღლების ტრენინგ-მოდული შემუშავდა. მოდული მოიცავს ლგბტქი სპეციფიკური ტერმინებისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ცნების განმარტებას; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის/პოლიტიკისა და პრაქტიკის მიმოხილვას;

	სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების პროცესში არსებული გამოწვევებისა და მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციას. ტრენინგ-მოდული შემუშავებულია სოციალური მუშაკების, ადვოკატებისა და ლგბტქი ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის, რომლებიც 2024 წელს პროექტის ფარგლებში გადამზადდებიან. ეუთო/ოდირის ანგარიში - 2023 წლის აპრილში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ 2022 წელს წარმოებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ინფორმაცია გაეგზავნა. მრგვალი მაგიდა - 2023 წლის აპრილში „თანასწორობის მოძრაობამ“ ლგბტქი ორგანიზაციებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრა მიზნად ისახავდა ლგბტქი თემის წინაშე არსებული გამოწვევებისა და ორგანიზაციის სამომავლო გეგმების განხილვას.

14. ქალების სიღარიბე და მენსტრუალური ჯანმრთელობა

პროექტის დასახელება	ქალების სიღარიბე და მენსტრუალური ჯანმრთელობა
დონორი	ქალთა ფონდი საქართველოში
პროექტის ხანგრძლივობა	01.12.2022-30.06.2023 (7 თვე)
საანგარიშო პერიოდი	01.01.2023-30.06.2023 (6 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	15,000.00 ევროს ეკვივალენტი ლარში
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტის ფარგლებში განხორციელდა: 1. **კვლევა ,,მენსტრუალური სიღარიბე საქართველოში“** კვლევა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით განხორციელდა. კვლევის ანგარიში ასახავს ერთი მხრივ, სამაგიდე კვლევის შედეგებს, რომელიც მოიცავს მენსტრუალურ სიღარიბესთან დაკავშირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ცნობებს, ხოლო მეორე მხრივ ანაგარიშში მოცემულია სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია. კვლევის პროცესში, სულ განხორციელდა 7 ფოკუს-ჯგუფი, 5 სიღრმისეული ინტერვიუ და 4 პირისპირ ინტერვიუ დარგის ექსპერტებთან. ფოკუს-ჯგუფების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო მონაწილეთა საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი/სოფელი). კვლევაში მონაწილე სოციალური ჯგუფების წარმომადგენლთა უნიკალური გამოცდილების სიღრმისეული ანალიზის მიზნით, რამდენიმე რესპონდენტთან განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუ. რესპონდენტების კვლევაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, კვლევის პროცესში ჩართულები იყვნენ

	თემის მობილიზების სპეციალისტები - რეკრუტორები თბილისში, აჭარაში, იმერეთსა და გორის მუნიციპალიტეტში. კვლევა აანალიზებს შემდეგ საკითხებს: მენსტრუაციასთან დაკავშირებული ცოდნა; მენსტრუალური ტკივილი და სამედიცინო სერვისებზე წვდომა; მენსტრუალურ პროდუქტებზე, წყალსა და სანიტარიაზე წვდომა; მენსტრუაციისა და შრომის თანაკვეთა. კვლევის ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები შემდგომი ადვოკატირებისთვის. რეკომენდაციები დაჯგუფებულია უწყებებთან რელევანტურობის თვალსაზრისით. კვლევის ანგარიში ხელმისაწვდომია ,,თანასწორობის მოძრაობის“ ელექტრონულ პლატფორმებზე[5]. **2. მენსტრუალური სიღარიბის შესახებ საინფორმაციო მატერიალების შექმნა და გავრცელება** მენსტრუალურ სიღარიბესთან დაკავშირებული 1 ვიდეო რგოლი, 4 პოსტერი და 2 ბლოგი მომზადდა. ბლოგების ავტორების შერჩევა აპლიკანტების მიერ გამოგზავნილი აბსტრაქტების საფუძველზე განხორციელდა. კონკურსის შედეგად, შეირჩა 2 ავტორი. ორივე ბლოგის ტექსტი მენსტრუალურ ჯანმრთელობასა და სიღარიბესთან დაკავშირებულ პირად წუხილებსა და გამოცდილებას ეფუძნება. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული პირველი ტექსტი მთიან აჭარაში არსებულ გამოცდილებებსა და მენსტრუალური ზრუნვის პრაქტიკებს აღწერს, ხოლო მეორე ტექსტი მენსტრუაციასა და შრომის პრაქტიკას შორის არსებულ თანაკვეთას. ვიდეო-რგოლის შემუშავებაზე შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე ქალების ჯგუფმა იმუშავა. ვიდეოს ტექსტი, კვლევის ,,მენსტრუალური სიღარიბე საქართველოში“ მთავარ მიგნებებს ეფუძნება და პერსონაჟებიც კვლევაში წარმოდგენილი სოციალური ჯგუფების რეპრეზენტაციის მიზნით არიან შერჩეულები. ვიდეოს ვიზუალი და შინაარსი, ერთი მხრივ, ცდილობს ახსნას მენსტრუალური სიღარიბის მნიშვნელობა, მეორე მხრივ კი, მენსტრუაციის მენეჯმენტთან დაკავშირებულ ყოველდღიურ სირთულეებზე ამახვილებს ყურადღებას. ვიდეო-რგოლი ხელმისაწვდომია ,,თანასწორობის მოძრაობის“ სოციალური მედიის პლატფორმებზე. პროექტის ფარგლებში შექმნილ პოსტერებზე დატანილია, კვლევის ანგარიშში მოხსენიებული ციტატები. პოსტერები განთავსებულია ,,თანასწორობის მოძრაობის“ Instagram პლატფორმაზე. **3. კვლევის ,,მენსტრუალური სიღარიბე საქართველოში“ პრეზენტაცია** კვლევის ,,მენსტრუალური სიღარიბე საქართველოში“ პრეზენტაცია 2023 წლის 24 მაისს გაიმართა. ანგარიში წარადგინა კვლევის ავტორმა, გენდერის საკითხების

[5] მენსტრუალური სიღარიბე საქართველოში:https://equality.ge/wp-content/uploads/2023/06/ilovepdf_merged-6.pdf

	მკვლევარმა ანი გოგბერაშვილმა. პრეზენტაციას წინ უძღვოდა პანელური დისკუსია თემაზე ,,მენსტრუალური სიღარიბის სოციალური გავლენები“.

15. ლგბტქი თემის მედეგობის მშენებლობა საქართველოში

დონორი	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
პროექტის ხანგრძლივობა	02.10.2023-09.30.2024 (12 თვე)
საანგარიშო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი: 02.10.2023-31.12.2023 (3 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	292,924.19 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	ინიციატივის ,,ლიდერობა, თანასწორობა, ადვოკატირება და დემოკრატია“ (LEAD) ფარგლებში, პროექტი მიემართება ,,თანასწორობის მოძრაობის“ ორ ოპერაციულ მიზანს. ერთი მხივ, ის მხარს უჭერს ლგბტქი თემის გაძლიერებასა და მედეგობის მშენებლობას ფსიქო-სოციალური სერვისების რაოდენობისა და მრავალფეროვნების გაზრდით. ხოლო, მეორე მხრივ, ის ხელს უწყობს ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარებას სტრატეგიული დაგეგმვისა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში: 1. ექსპერტ-ფასილიტატორის ჩართულობით, განხორციელდა ორგანიზაციის მიზნებისა და საჭიროებების მცირე კვლევა, შემდგომში, სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში მოხმარებისთვის. ამასთან, გაიმართა სამ დღიანი სამუშაო შეხვედრა, ორგანიზაციის გამგეობის წევრებისა და თანამშრომლების მონაწილეობით ორგანიზაციული სტრატეგიის დოკუმენტის მომზადებისთვის. შეხვედრას, სულ - 26 ადამიანი ესწრებოდა. დამატებითი სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების შემდეგ, ექსპერტ-ფასილიტატორის ჩართულობით მომზადდა ,,თანასწორობის მოძრაობის“ 2024-2026 წლების ორგანიზაციული სტრატეგიის ე.წ. დრაფტი; 2. კომუნიკაციისა და სტრატეგიული კომუნიკაციების ექსპერტთან თანამშრომლობით განხორციელდა ორგანიზაციის ბრენდინგის, საკომუნიკაციო არხებისა და მასალების ანალიზი. ამასთან, ორგანიზაციის გამგეობის წევრებისა და თანამშრომლების ჩართულობით, განხორციელდა სამ დღიანი სამუშაო შეხვედრა ,,თანასწორობის მოძრაობის“ 2024-2026 წლების კომუნიკაციების სტრატეგიის შემუშავებისთვის. შეხვედრას, სულ 13 ადამიანი ესწრებოდა; 3. ორგანიზაციის გუნდს შეუერთდა ფონდების მოძიების სპეციალისტი;

	4. სოციალურმა მუშაკმა კონსულტაცია გაუწია 31 ადამიანს.

16. ორგანიზაციული უსაფრთხოების გაძლიერება

დონორი	სამოქალაქო უფლებების დამცველები (CRD)
პროექტის ხანგრძლივობა	01.08.2023-20.02.2024 (7 თვე)
საანგარიშო პერიოდი	01.08.2023 – 31.12.2023 (5 თვე)
პროექტის ბიუჯეტი	64,607.50 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტის ფარგლებში, ,,თანასწორობის მოძრაობამ“ ● სერვისი შეისყიდა IT კომპანისგან, რომელმაც განახორციელა თანამშრომლების სამუშაო მოწყობილობების (ლეპტოპი/პრინტერი) დიაგნოსტიკა; ● მიიღო საექსპერტო მომსახურეობა, რომელიც მიმართულია თაღლითობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაზე; ● შეისყიდა 5 ლეპტოპი ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის; ● შეისყიდა საბუღალტრო პროგრამა- ORIS; ● ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის, რომლებსაც შეხება აქვს პერსონალურ ინფორმაციასთან შეისყიდა 1 შრედერი; ● სერვისების გამცემი თანამშრომლებისთვის შეისყიდა 1 მობილური ტელეფონი; ● ორგანიზაციის ოფისის უსაფრთხოებისთვის შეისყიდა 3 ცეცხლმაქრი.

EQUALITY MOVEMENT

@equalitymovementgeorgia

თანასწორობის მოძრაობა/ Equality Movement

@equalityGeorgia

თანასწორობის მოძრაობა/ Equality Movement

Equality Movement

@EqualityMovement

info@equality.ge

www.equality.ge

© 2023